

თემურ ჯანგველაძე

ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა და ნახევრად-დისკრეტული სქემა ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელისათვის

განხილულია ერთი არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი ინტეგრო-დიფერენციალური მოდელი, რომელიც მიღებულია მაქსველის ცნობილი სისტემის რედუცირების შედეგად. შესწავლილია ორი სახის სასაზღვრო პირობიანი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევა. აგებულია ნახევრად-დისკრეტული სხვაობიანი სქემა და დამტკიცებულია მისი კრებადობის თეორემა. ორივე შემთხვევისათვის განხილულია ადრე შესწავლილზე ფართო კლასის არაწრფივობები.